არაოფიციალური თარგმანი

ევროკომისია

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების
პოლიტიკის საკითხებში
ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი

25 მარტი, ბრიუსელი

ერთობლივი სამუშაო
დოკუმენტი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში
2014 წლის განმავლობაში მიღწეული პროგრესი და შემდგომ ქმედებებთან
დაკავშირებული რეკომენდაციები

თან ახლავს დოკუმენტს:

„ერთობლივი კომუნიკაცია ევროპარლამენტს, ევროკავშირის
საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ საქმეთა კომიტეტსა
და რეგიონულ კომიტეტს

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2014 წელს

1. ზოგადი შეფასება და რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტში შეფასებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების დღის წესრიგის შესრულების დინამიკა 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში. ასოცირების დღის წესრიგმა ჩაანაცვლა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (2006). ანგარიში საჭიროებისამებრ ითვალისწინებს იმ მოვლენებსაც, რომლებსაც არ მოიცავს აღნიშნული პერიოდი. დოკუმენტის მიზანი არ არის საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა. რეგიონულ და მრავალმხრივ სექტორში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციისათვის იხ. ანგარიში აღმოსავლეთ პარტნიორობის განხორციელების შესახებ.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცესაც (AA/DCFTA). ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება საქართველომ 2014 წლის 18 ივლისს მოახდინა. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ასოცირების შესახებ შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე წინასწარ ამოქმედდა. 2014 წლის ივნისში ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ ასოცირების დღის წესრიგზე, რომელიც ითვალისწინებს რიგ პრიორიტეტებს ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების განსახორციელებლად. გარდა ამისა, 2014 წელს კიდევ უფრო ინტენსიური გახდა პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის. 2014 წლის მაისში გაიმართა უპრეცედენტო შეხვედრა საქართველოს ხელისუფლებასა და ევროკომისართა კოლეგიას შორის. 2014 წლის ნოემბერში შედგა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა და საქართველომ ბათუმში უმასპინძლა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს.

2014 წელს თავისი მანდატი დაასრულა თომას ჰამარბერგმა - საქართველოში საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა - და წარმოადგინა რეკომენდაციები პოლიტიკურ/საკონსტიტუციო სისტემაში ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების ადეკვატური განაწილებისა და კონტროლისა და ბალანსის მექანიზმების ეფექტიანი სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ღრმა და მდგრადი დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დამკვიდრების გზაზეც: მიჩნეული იქნა, რომ 2014 წლის ივნისსა და ივლისში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები ზოგადად შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. წამოწყებული იქნა საკონსტიტუციო რეფორმა - დაარსდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. პარლამენტის როლი განმტკიცდა, ხოლო პრეზიდენტის ძალაუფლება შემცირდა. ერთ-ერთი ყველაზე გადაუდებელი საკითხია პროკურატურის სტატუსი. 2014 წლის დეკემბერში წამოწყებული იქნა პროკურატურის ინსტიტუციური რეფორმა.

ჯერ არ დაწყებულა საარჩევნო სისტემის რეფორმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებლად. უკეთესი მდგომარეობაა მედიის თავისუფლების თვალსაზრისით, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს არ იყო სრულად უზრუნველყოფილი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოსამართლეებს მიეცათ შესაძლებლობა, იყვნენ უფრო მეტად დამოუკიდებლები, თუმცა პრობლემას წარმოადგენს მოსამართლეებისთვის სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდის არსებობა მათ უვადოდ დანიშვნამდე. ზოგადად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას არამყარი ხასიათი აქვს. საქართველომ გარკვეულ წინსვლას მიაღწია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამტკიცდა ადამიანის უფლებათა საკითხებში ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გაუმჯობესება შეინიშნება ციხეების სისტემაში და ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მიღებული იქნა ანტიდისკრიმინაციული კანონი. კვლავ იდგა სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან ჩადენილ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე ანგარიშვალდებულების ნაკლებობის საკითხი. ზოგადად უმცირესობათა უფლებების საკითხი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. განსახორციელებელია სახელმწიფოს მართვის სფეროში სერიოზული რეფორმები, მათ შორის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სისტემის რეფორმა.

და თუმცა გრძელდებოდა სამოქალაქო საზოგადოების დიალოგი პარლამენტთან, მაგრამ ხელისუფლებასთან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა დიალოგის შესაძლებლობა შეიზღუდა.

შესამჩნევი პროგრესი იქნა მიღწეული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზებასთან დაკავშირებულ დიალოგში და სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებათა განხორციელებაში. წამოწყებული იქნა ვიზების ლიბერალიზების პროცესის განხორციელების მეორე ფაზა.

2013 წლის ბოლოს დაიწყო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების პროცესი, რასაც ხელი შეუწყო წლის ბოლო კვარტალში განხორციელებულმა დიდი მოცულობის ფისკალურმა სტიმულმა. გაუმჯობესების პროცესი გაგრძელდა 2014 წელსაც. 2013 წლის 0,5%-იანი დეფლაციის შემდგომ პერიოდში ეკრნომიკურმა ზრდამ უმნიშვნელო ინფლაციური დაწოლა გამოიწვით. 2013 წლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შემდეგ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისევ დაიწყო გაზრდა; მოსალოდნელია, რომ 2014 წლის ბოლოსთვის დეფიციტი დაახლოებით 10%-ს მიაღწევს. 2014 წლის ივლისში საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან 154 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ახალი Stand-by სასესხო შეთანხმება გააფორმა. 2014 წლის ოქტომბერში ევროკავშირმა დაასრულა მოლაპარაკება 46 მილიონი ევროს მაკროეკონომიკური დახმარების ახალ პროგრამაზე.

რაც შეეხება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს - **აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს** - საქართველოში შეშფოთება გამოიწვია *de facto* მთავრობების მიერ 2014 წელს გაკეთებულმა განცხადებებმა გამყოფ ხაზზე მდებარე პუნქტების

პოტენციური დახურვის და მათი გადაკვეთის გამკაცრებული რეჟიმის შესახებ. ეს კიდევ უფრო გააღრმავებს გათიშვას, რომელიც გამოწვეულია ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ღობეებისა და სხვაგვარი დაბრკოლებების აღმართვით. საქართველოს მთავრობამ მწვავედ გააკრიტიკა რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერა და სამხრეთ ოსეთთან ანალოგიური ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკება, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ინტერესებს. ამ შეფასებას ევროკავშირიც იზიარებდა, რასაც იგი აფიქსირებდა განცხადებებში და ევროკავშირის ორმხრივი ურთიერთობებისას რუსეთის ფედერაციასთან. ევროკავშირი კვლავ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. მთავრობამ განახორციელა სეპარატისტულ ტერიტორიებზე ეფექტიანი ჩართულობის თავისი სტრატეგია. პარალელურად გრძელდებოდა ორმხრივი დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან. ამ დიალოგმა გამოიღო შედეგები ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კულტურის სფეროებში, რასაც ევროკავშირი მიესალმება.

მთლიანობაში საქართველომ წინსვლას მიაღწია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში. განსაკუთრებული მიღწევები აღინიშნა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესში. წამოწყებული იქნა საკონსტიტუციო რეფორმები, გარკვეული წინსვლა იქნა მიღწეული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიღებული იქნა ანტიდისკრიმინაციული კანონი. გრძელდებოდა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა.

2014 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასების გათვალისწინებით სასურველია, რომ მომავალ წელს საქართველომ ყურადღება გამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

- უზრუნველყოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის ძალაუფლების ადეკვატური განაწილება და კონტროლისა და ბალანსის მექანიზმები საკონსტიტუციო რეფორმის კონტექსტში; უზრუნველყოს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დეტალური კონსულტაციების გამართვა ევროკავშირთან, ასევე ევროსაბჭოსთან არსებულ ვენეციის კომისიასთან;
- გააუმჯობესოს პოლიტიკური კლიმატი - ერიდოს სამაგიეროს გადახდას პოლიტიკური ნიშნით, კონფრონტაციას და პოლარიზებას და უზრუნველყოს სივრცე ოპოზიციისთვის და პარტიებს შორის დიალოგისათვის, რაც მიზნად ისახავს დემოკრატიის განმტკიცებას და ისეთ პრიორიტეტებზე კონცენტრირებას, როგორებიც არის ეკონომიკური განვითარება და გადაუდებელი სოციალური პრობლემები;
- მომავალი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ახალი ციკლის დაწყებამდე აღმოფხვრას კანონმდებლობაში და არჩევნების

ადმინისტრირებაში ჯერ კიდევ არსებული და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მითითებული ხარვეზები;

- სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მოახდინოს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პრაქტიკის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით; შეიმუშაოს სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ზუსტად განსაზღვრული ნიშნულებით;
- უზრუნველყოს, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიება და დევნა წარიმართოს გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად და იყოს პოლიტიკური მოტივაციისგან თავისუფალი, და ითვალისწინებდეს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციებს ამ თვალსაზრისით;
- უზრუნველყოს პროკურატურის რეფორმის დასრულება, ასევე უზრუნველყოს პროკურატურის დამოუკიდებლობა პოლიტიკური ზეწოლისაგან და მისი ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე;
- უზრუნველყოს, რომ წინასწარი პატიმრობა აღკვეთის ზომად, კანონის შესაბამისად, მხოლოდ გამონაკლისი ზომის სახით იქნეს გამოყენებული, რათა, სხვა პრინციპებთან ერთად, დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმფცია; გადასინჯოს ადმინისტრაციული პატიმრობის მარეგულირებელი წესები სამართლიანი სასამართლოს ნორმებთან შესაბამისად;
- გაზარდოს სამართალდამცველი სტრუქტურების ანგარიშვალდებულების და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის ხარისხი; დანერგოს დავების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმი და გამოიძიოს ქონების უფლების დარღვევასთან, წამებასა და ცუდად მოპყრობასთან, ასევე საპროცესო გარიგებების სისტემის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრები; გამოიძიოს სამართალდარღვევები - განსაკუთრებით სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები - და განახორციელოს რეფორმები, ასევე აწარმოოს პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მონიტორინგი;
- გააგრძელოს სექტორული რეფორმების განხორციელება, დაასრულოს ენერგეტიკული თანამეგობრობის შეთანხმებასთან მიერთების პროცესი და უზრუნველყოს ევროკავშირის კანონთა კრებულთან (*acquis*) მაღალი სტანდარტით დაახლოება, რათა წარმატებით განახორციელოს ასოცირების შესახებ შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება; გაზარდოს საზოგადოების ცოდნა ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ, ასევე ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებითა და ეკონომიკური ინტეგრაციით მოტანილი სიკეთეების შესახებ;
- კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღოს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში; გააქტიუროს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება და გადადგას პრაგმატული ნაბიჯები ღია კომუნიკაციისკენ და წაახალისოს და ხელი შეუწყოს ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ ვაჭრობას, გადაადგილებას და

ინვესტირებას; ცვლილებები შეიტანოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში და სხვა დაკავშირებულ კანონებსა და ადმინისტრაციულ აქტებში; გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებში და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან;

- კიდევ უფრო განამტკიცოს მედიის პლურალიზმი და დამოუკიდებლობა, გამოხატვისა და აზრის თავისუფლება; გაუმჯობესოს და უზრუნველყოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა; აღკვეთოს უკანონო თვალთვალი და მიყურადება: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ვენეციის კომისიასთან კონსულტაციის საფუძველზე გადასინჯოს თვალთვალსა და მიყურადებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; და გამოიძიოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო ქმედებების ფაქტები;
- ეფექტიანად განახორციელოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა; სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოყოს საკმარისი რესურსები, რათა ამ სამსახურმა შეძლოს თავისი ახალი - თანასწორობის დამცველი უწყების - როლის შესრულება; უზრუნველყოს უმცირესობების – მათ შორის რელიგიური უმცირესობების - უფლებების დაცვა;
- ეფექტიანად განახორციელოს ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რისთვისაც ყურადღება გაამახვილოს პრიორიტეტებზე ადამიანის უფლებების სფეროში და პოლიტიკის შემუშავებისას ასახოს სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები;
- უზრუნველყოს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას და სოციალურ პარტნიორებს კვლავ ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეასრულონ საკუთარი ფუნქციები, მათ შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების/თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

ღრმა და მდგრადი დემოკრატიისკენ სვლა

2014 წლის მუნიციპალური არჩევნები უფრო კონკურენტულ ატმოსფეროში წარიმართა, ვიდრე 2013 წლის არჩევნები. მიღებული იყო რამდენიმე ცვლილება, რათა კანონმდებლობა შესაბამისობაში ყოფილიყო მოყვანილი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალ კოდექსთან. განსაკუთრებით სასარგებლო იყო გადაწყვეტილება თვითმმართველი მუნიციპალიტეტების რაოდენობის 12-მდე გაზრდის შესახებ, რაც იძლეოდა მერების პირდაპირი გზით არჩევის შესაძლებლობას, და პირველ რაუნდში საარჩევნო ზღვრის 30-დან 50%-მდე გაზრდა. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათანორისო სპეციალურმა კომისიამ გააგრძელა რეკომენდაციების გაცემის პრაქტიკა, თუმცა ამ რეკომენდაციების შესრულება ყოველთვის არ ხდებოდა; ვერ იქნა თავიდან აცილებული და სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა დაშინების ფაქტებს. საარჩევნო

კამპანიის დროს იყო რიგი ინციდენტებისა, როდესაც გამოყენებული იქნა ძალისმიერი მეთოდები და აღინიშნა ზეწოლა ოპოზიციაზე.

ამ მუნიციპალურ არჩევნებს, რომლებზე დაკვირვებაში არ მონაწილეობდა ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, აკვირდებოდნენ დიდი რაოდენობით ადგილობრივი და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლები. მიჩნეული იქნა, რომ არჩევნები აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს, შემოვიდა შეტყობინება მხოლოდ მცირედი პროცედურული დარღვევების შესახებ და ჩაითვალა, რომ ამ დარღვევებს არ მოუხდენია ზეგავლენა არჩევნების შედეგებზე.

დისკუსია საარჩევნო რეფორმის თაობაზე ჯერ არ განახლებულა. არსებობს რიგი ჯერ კიდევ მოსაგვარებელი საკითხებისა, მაგალითად ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაცია „ხმების თანასწორობის“ გაუმჯობესების შესახებ. ასევე საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს ცოტა ხნის წინ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან, როგორიც არის დებულება, რომელიც ადგილობრივი საკრებულოს წევრთა უმრავლესობას აძლევს უფლებას, გადააყენოს პირდაპირი გზით არჩეული მერი. თუ საარჩევნო რეფორმა დროულად, შეფერხების გარეშე დაიწყება, მისი მოქმედება 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც შეიძლება გავრცელდეს.

2014 წლის მუნიციპალური არჩევნების წინა პერიოდში აღინიშნა პოლარიზაცია და სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება **გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლების** ძირითადი დარღვევები. მმართველი პარტიის მომხრეების მიერ ოპოზიციის ზოგიერთი თავშეყრის დაშლის გარდა, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, დაეცვა ოპოზიციის წარმომადგენლები დროდადრო მიტანილი ძალადობრივი იერიშისაგან და/ან ადეკვატურად გამოეძიებინა თავდასხმები პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებზე. პროკურატურაში შევიდა 80 საჩივარი ოპოზიციის კანდიდატებისგან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათზე მოხდა ზეწოლა კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით, მაგრამ ამ საჩივრებიდან მხოლოდ ოთხთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის გამოძიება.

2013 წლისგან განსხვავებით, როდესაც აგრესიულმა ბრბომ ძალა გამოიყენა მშვიდობიან ლგბტი (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და ინტერსექსუალი) აქტივისტებზე, რომელთა გაყვანა ადგილიდან პოლიციას მოუხდა, 2014 წელს ლგბტი თემის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, არ შეკრებილიყვნენ ქუჩაში ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის აღსანიშნავად.

2014 წელს **მედიაგარემო** უმჯობესდებოდა და უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა, თუმცა უფრო პოლარიზებულიც. მედიასაშუალებათა მფლობელობის საკითხი უფრო გამჭვირვალე გახდა. საქართველოს რეიტინგი Freedom House-ის ყოველწლიურ გამოკითხვაში მსოფლიოში პრესის თავისუფლების შესახებ ოდნავ გაუმჯობესდა. აღინიშნა ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის მცირე რაოდენობის

შემთხვევები. ხელისუფლება პერიოდულად ამჟღავნებდა მტრულ დამოკიდებულებას მედიის მიერ ზოგიერთი საკითხის კრიტიკულად გაშუქების მიმართ. მედიის თავისუფლება, კერძოდ, საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში, და მიუკერძოებლობა არ იყო მყარი.

2014 წლის აგვისტოში პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა კანონში **საერთო სასამართლოების შესახებ** და შემოიღო „კეთილსინდისიერებისა“ და „კომპეტენციის“ კრიტერიუმები იმ სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდისთვის, რომელიც ყველა მოსამართლემ უნდა გაიაროს უვადოდ დანიშვნამდე. კანონის საფუძველზე ასევე შეიქმნა უზენაესი სასამართლოს ახალი პალატა, რომლის მანდატი გულისხმობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას.

2014 წლის მარტში **საკონსტიტუციო რეფორმაზე** მომუშავე სახელმწიფო კომისიამ განიხილა სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებები და კომპეტენციები და სხვა საკონსტიტუციო სუბიექტების უფლებამოსილებები. 58 წევრიან კომისიას, რომელიც შედგება საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წევრებისაგან, არასაპარლამენტო პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან და სამართლის ექსპერტებისაგან, დაევალა, მოემზადებინა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები და განესაზღვრა პროკურატურის ახალი კონსტიტუციური სტატუსი. პარლამენტმა კომისიას მანდატი 2015 წლის მარტამდე გაუგრძელა.

2014 წლის დეკემბერში დაიწყო **პროკურატურის** ინსტიტუციური **რეფორმა,** რომელიც მიზნად ისახავს ამ უწყების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. რეფორმის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო უწყებები, პარლამენტი, სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

2014 წლის სექტემბერში პარლამენტმა გადაავადა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ყველა სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, 2014 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

გრძელდებოდა წინა მთავრობის მაღალჩინოსნების საქმეთა **გამოძიება და სასამართლოში განხილვა.** წინამდებარე ანგარიშის შემუშავების დროისათვის 35 ყოფილ თანამდებობის პირს წაუყენეს ბრალი სისხლის სამართლის საქმეზე; ხუთმა მათგანმა დატოვა ქვეყანა და სულ მცირე 10 იქნა მსჯავრდებული, რომელთაგან სამი შეიწყალა მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. გარდა ამისა, ბრალი წაუყენეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ყოფილ საჯარო მოხელეს.

სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაგმეს პროცედურული დარღვევები, მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა და დაშინება დაკითხვის დროს, და გამოთქვეს შეშფოთება ხანგრძლივ წინასწარი პატიმრობასთან დაკავშირებით. სასამართლოების მონიტორინგს ახორციელებენ ეუთო და

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. დეკემბერში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოაქვეყნა სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, რომელიც კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს არა მარტო სასამართლო სისტემას, არამედ ხელისუფლების ყველა შტოს. გახმაურებული საქმეების მონიტორინგს არ გამოუვლენია სამართალწარმოების დროს სათანადო პროცესის მნიშვნელოვანი დარღვევები. აღინიშნა, რომ ზოგადად მოსამართლეები მეტ გულმოდგინებას ამჟღავნებდნენ საქმის სხვადასხვა ეტაპზე მტკიცების აუცილებელი სტანდარტების უზრუნველყოფაში გახმაურებულ საქმეებში, ვიდრე ჩვეულებრივ საქმეებში.

მთავრობის შემადგენლობაში პოლიტიკურმა მღელვარებამ იფეთქა 2014 წლის ნოემბერში, მას შემდეგ, რაც პროკურატურამ დააკავა და დაკითხა თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე თანამშრომელი კორუფციის ბრალდებასთან დაკავშირებით. რამდენიმე მინისტრისა და მინისტრის მოადგილის განთავისუფლებისა თუ გადადგომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა მოახერხა შემდგომი გადადგომების ტალღის შეჩერება და პარლამენტში უმრავლესობა შეინარჩუნა. ახალი მთავრობა პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე ჩამოყალიბდა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ევროპის საბჭოს დაკვირვებით, საქართველოს **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი** ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და მიღებულ პრაქტიკას. რეკომენდაციები საპროცესო გარიგებებზე სასამართლო მეთვალყურეობის გაზრდის, მსხვერპლთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებისა და დაცვის მხარის უფლების - მოითხოვოს გარკვეული საგამოძიებო ზომების გატარება - შესახებ ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წელს შეტანილი ცვლილებების მეშვეობით.

და თუმცა წინასწარი პატიმრობა მთლიანად არ გაუქმებულა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2014 წლის აგვისტოში შეტანილი ცვლილება, რომელმაც ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა 90-დან 15 დღემდე შეამცირა, მიჩნეული უნდა იქნეს წინ გადადგმულ ნაბიჯად ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისაკენ.

სამოსამართლო სწავლების ევროპულმა ქსელმა (EJTN) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლას 2014 წლის ივნისში დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა.

წინსვლა აღინიშნა **პენიტენციური სისტემის** ხარისხის გაუმჯობესებაში, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით. ციხეები რჩება ევროკავშირის მხრიდან დახმარების ძირითად ობიექტად და მთავრობის პრიორიტეტად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის პროცესში. პრეზიდენტის შეწყალებებისა და 2013 წლის დასაწყისში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტიის შედეგად პატიმართა რაოდენობა განახევრდა. ამ შემცირებამ, ბიუჯეტის გაზრდასთან, პერსონალის და კონტროლის მეთოდების ცვლილებასთან ერთად, ადმინისტრაციას მისცა შესაძლებლობა, ყურადღება გაემახვილებინა ჯანდაცვის

რეფორმაზე და წამოეწყო მუშაობა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიმართულებით. ციხეებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა და შესაძლებელია მისი შედარება ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში არსებულ მაჩვენებლებთან. თუმცა გრძელდებოდა ცუდად მოპყრობისა და ძალადობის სავარაუდო შემთხვევები, რაც აღნიშნა სახალხო დამცველის აპარატმა. ხელისუფლების მიერ 2013 წლიდან წარმოებული დისკუსია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ციხეების მონიტორინგის გარე დამოუკიდებელი სისტემის შექმნის თაობაზე, გარდა არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმისა, რომელსაც გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმი ითვალისწინებს, შეჩერებულია.

რაც შეეხება **უშიშროებისა და სამართალდამცველი სექტორის რეფორმას,** განხორციელებული სტრუქტურული ადმინისტრაციული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული შიდა მონიტორინგის მექანიზმი. **საჩივრების** დამუშავების პროცედურა მოდერნიზებული იქნა და შემოღებული იქნა 24 საათიანი ცხელი ხაზი ინდივიდუალური საჩივრებისათვის. **წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასთან ბრძოლის** უწყებათაშორისმა საბჭომ ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი საგამოძიებო მექანიზმების რეფორმირების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ განცხადებების საფუძვლიანი, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიება.

სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩადენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის არარსებობა 2014 წელსაც პრობლემად რჩებოდა; ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტიანი და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი. სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არ ხდება პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობის ფაქტების სწრაფი და სათანადო გამოძიება. ამგვარი მოპყრობის შესახებ განცხადებები 2014 წელსაც შემოდიოდა (განსხვავებით 2013 წლისაგან). ოპოზიციის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიების არარსებობამ შესაძლოა წარმოშვას სამწუხარო სიგნალი, რომ ხდება ამგვარი დარღვევების შეწყნარება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას კვლავ პრიორიტეტული ადგილი ეკავა მთავრობის დღის წესრიგში და წარმატებულად ხდებოდა წვრილი კორუფციის აღმოფხვრა. განსახორციელებელია სახელმწიფო მართვის სფეროს მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორიც არის გადასინჯული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების დამტკიცება, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული ზომები, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეფორმირება და გადაწყვეტილებები ელიტარულ კორუფციასთან ბრძოლის და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალეობის“ შეფასების თანახმად, საქართველო კორუფციის მაჩვენებლით 2014 წელს 175 ქვეყანას შორის 52-ე ადგილს იკავებს, რაც 2012 წელთან შედარებით მცირეოდენ გაუმჯობესებას ნიშნავს, როდესაც საქართველო 55-ე იყო 177 ქვეყანას შორის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აგრძელებდნენ მთავრობის საქმიანობის მონიტორინგს. ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხედულებით მცირდება ხელისუფლებასთან დიალოგის შესაძლებლობები. პარლამენტთან სამოქალაქო საზოგადოების დიალოგი კვლავ აქტიურად მიმდინარეობს.

ადამიანის სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმება და მის საფუძველზე მიღებული ასოცირების დღის წესრიგი შეიცავენ დებულებებს **მმართველობისა და ადამიანის უფლებების** მხრივ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაამტკიცა **ადამიანის უფლებათა საკითხებში ეროვნული სტრატეგია,** რომელიც უმეტესად ეყრდნობა ევროკავშირის სპეციალურის მრჩევლის - თომას ჰამარბერგის რეკომენდაციებს, რომლებიც მან წარმოადგინა ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში“. ევროკავშირი მხარს დაუჭერს და დააფინანსებს სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შერჩეული სფეროების განხორციელებას.

სახალხო დამცველის აპარატი დამოუკიდებლად განაგრძობდა ადამიანის უფლებათა მხრივ არსებული მდგომარეობის მონიტორინგს და მან გაზარდა ზეწოლა არა მარტო მთავრობაზე, არამედ პარლამენტზეც. განახლდა სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტებმა პროაქტიული როლი შეასრულეს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობაში და კანონების მიღებაში ისეთ სენსიტიურ სფეროებში, როგორებიც არის თვალთვალი და ანტიდისკრიმინაცია.

2014 წელს **ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში** შეტანილი საჩივრების რაოდენობა შემცირდა. ნაკლები იყო საჩივარი ცუდად მოპყრობასთან დაკავშირებით (ძირითადად ეხებოდა ციხეებში არსებული ჯანდაცვის ცუდ სისტემას). მთავრობა კვლავ ცდილობდა საქმეების სასამართლოს ჩარევის გარეშე, მორიგებით დასრულებას.

2012 წლის შემდეგ გაიზარდა რელიგიურ **უმცირესობათა** მიმართ შეუწყნარებლობის შემთხვევათა რაოდენობა. რამდენიმე შემთხვევაში მუსლიმანებს ხელს უშლიდნენ შეკრებაში და ლოცვაში. და თუმცა მაღალი თანამდებობის პირებმა, სახალხო დამცველის აპარატმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქვეყნოდ დაგმეს ეს ფაქტები, შესაბამისმა უწყებებმა არ მიიღეს საკმარისი ზომები მათი სათანადოდ გამოძიების ან დამნაშავეთა სამართალში მიცემის მიზნით.

მიუხედავად საზოგადოებაში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების და უარყოფითი განწყობისა, 2014 წლის მაისში პარლამენტმა ერთხმად მიიღო **ანტიდისკრიმინაციული კანონი,** რომელიც განსაზღვრავს დისკრიმინაციის ყველა თანამედროვე საფუძველს და ითვალისწინებს სახალხო დამცველის აპარატში დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მექანიზმის შემოღებას. ამ კანონის მიღებამ

საქართველო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესის შემდეგ დონეს დაუახლოვა. ჰომოსექსუალი მამაკაცების მიერ სისხლის დონორობის აკრძალვა არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული.

მიღებული იქნა გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2014-16 წლებისათვის) და გენდერული თანასწორობისა და **ქალთა უფლებების** სფეროში არსებული ყველა სამოქმედო გეგმა ჩართული იქნა ადამიანის უფლებათა საკითხებში სამოქმედო გეგმაში (2014-15 წლებისათვის). ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ. ხელისუფლებისთვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა სექტორთა შორის საქმიანობის კოორდინირება და თანამშრომლობა. უფრო ინტენსიური უნდა გახდეს ქალების მიმართ ძალადობასთან ბრძოლისკენ მიმართული ძალისხმევა, დაკმაყოფილდეს სხვადასხვა უმცირესობათა ჯგუფში ქალების საჭიროებები და შემოღებული იქნეს სპეციალური ზომები პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად. 2014 წელს სულ მცირე 26 ქალი გარდაიცვალა ოჯახში ძალადობის შედეგად. ომბუდსმენმა საგანგებოდ აღნიშნა გოგონების ადრეულ ასაკში დაქორწინების და სკოლის მიტოვების პრობლემა.

გაეროს ბავშვთა ფონდის („იუნისეფი“) მიერ ჩატარებული კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევამ გამოავლინა, რომ **ბავშვთა** სიღარიბე საქართველოში მაღალია. ბავშვებს შორის სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ით უფრო მაღალია, ვიდრე ზოგადად მოსახლეობას შორის. ევროკავშირისა და „იუნისეფის“ დახმარებით მთავრობამ შემოიღო სერვისები და სისტემები **ყველაზე მოწყვლადი ბავშვების,** განსაკუთრებით მაწანწალა და ქუჩაში მომუშავე ბავშვების, საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. აღინიშნა რიგი პოზიტიური მოვლენებისა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. 2014 წელს ინიცირებული იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბავშვთა უფლებებისა და ბავშვებისათვის განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფას. მთავრობამ ასევე მოამზადა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, რომელიც არეგულირებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, მსხვერპლ ბავშვებთან და მოწმე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინსტიტუციური მექანიზმები **შრომითი უფლებების** დასაცავად არ შეცვლილა. მთავრობასა და სოციალურ პარტნიორებს შორის მნიშვნელოვანი კონსენსუსი არსებობს სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებასთან დაკავშირებით, მაგრამ შრომის უფრო ფართო ინსპექტირების შემოღების საკითხი (რაც კავშირშია ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან/თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ სივრცესთან) კვლავ დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. საჯარო სამსახურის შესახებ კანონში 2014 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილებები პროფკავშირების მიერ საჯარო სექტორის მოსამსახურეთა უფლებების დარღვევად იყო მიჩნეული. პროფკავშირებმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვეს, რომ საჯარო მოსამსახურეებმა განათლების, საფოსტო და რკინიგზის სექტორებში შექმნეს

„ყვითელი“ პროფესიული კავშირები, რომელთა ორგანიზებას და მხარდაჭერას დამსაქმებლები ახორციელებენ.

რაც შეეხება **საკუთრების უფლებებს,** 2012 წელს პარლამენტმა დააწესა მორატორიუმი უცხოელებისა და უცხოელთა კუთვნილი იურიდიული პირების მიერ მიწის შესყიდვაზე 2014 წლის ბოლომდე. 2014 წლის ივნისში სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ მორატორიუმი არაკონსტიტუციურად ცნო. ამიტომ იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა ცვლილებათა ახალი პაკეტი, რომელიც მთავრობამ 29 დეკემბერს დაამტკიცა და წარუდგინა პარლამენტს. უმეტესწილად მოუგვარებელი რჩებოდა 2012 წელს ხელისუფლების შეცვლამდე საკუთრების უფლებათა დარღვევის თაობაზე საჩივრები.

მმართველობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

არსებობდა მრავალი შეტყობინება მუნიციპალიტეტებიდან საჯარო მოხელეების სავარაუდოდ უკანონო **გათავისუფლების** ან მათზე თანამდებობებიდან გადადგომის მოთხოვნით ზეწოლის შესახებ. ამ მოხელეებს უნდა მიეცეთ სამართლებრივი საშუალებები განთავისუფლების გასასაჩივრებლად.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, რეგიონულ და საერთაშორისო საკითხებზე, კონფლიქტის პრევენციისა და კრიზისის მართვის სფეროებში

2014 წელს საქართველო შეუერთდა 23 დეკლარაციას ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) 49 დეკლარაციიდან, რომელთა მხარდაჭერისკენაც მას მოუწოდეს (2013 წელს 32-დან 15-ს - ასევე 47%).

2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ჩარჩო შეთანხმება ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. საქართველო ამჟამად მონაწილეობს ოპერაცია EUFOR RCA-ში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში - მას გაგზავნილი ჰყავს 156 ქვეითი სამხედრო მოსამსახურე - და დათანხმდა, ოპერაციაში მონაწილეობის ვადა 2015 წლის მარტამდე გაეგრძელებინა. გარდა ამისა, საქართველომ ევროკავშირის მალის საწვრთნელ მისიაში ორი ოფიცერი მიავლინა და მზად არის, მალის შეიარაღებულ ძალებს საჩუქრად გადასცეს სამხედრო აღჭურვილობა.

ევროკავშირი კვლავაც სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ასევე საქართველოს მცდელობებს, კონფლიქტები მშვიდობიანი გზებით, სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში არსებული კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დახმარებით მოაგვაროს. 2014 წელს საქართველო

აგრძელებდა 2008 წლის აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების და მასთან დაკავშირებული განხორციელების ზომების შესრულებას.

2014 წელს საქართველო კვლავ სრულ მზადყოფნას ამჟღავნებდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში მონაწილეობის მისაღებად როგორც ერთადერთ არსებულ ფორუმში, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე ისაუბრებს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე. ევროკავშირი მიესალმება საქართველოს ამ მზადყოფნას და ყურადღებას ამახვილებს ყველა მონაწილის მიერ პრაგმატული და შედეგებზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობაზე.

არ მომხდარა არაფერი ახალი **ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (IPRM)** მოქმედებასთან დაკავშირებით. შეხვედრები სამხრეთ ოსეთში კვლავაც რეგულარულად ტარდებოდა, თუმცა მხარეები კვლავ ჩვეულ პოზიციებს ინარჩუნებდნენ, რის გამოც შეხვედრები ხშირად ჩიხში შედიოდა. ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრები გალში არ განახლებულა. ორივე შემთხვევაში ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები ადგილზე უსაფრთხოების საკითხების დარეგულირებისა და უსაფრთხოების აქტორებს შორის ნდობის უწყვეტად აღდგენის მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს.

მთავრობამ დაიწყო ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გადასინჯვის პროცესი. ცვლილებების პროექტი მიზნად ისახავდა სეპარატისტულ ტერიტორიებზე უკანონოდ შესვლისთვის სანქციების რეჟიმის შემსუბუქებას. და თუმცა ეს ნამდვილად სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, აღნიშნული ცვლილებები მაინც შეზღუდული იყო და ბოლომდე არ შეესაბამებოდა ვენეციის კომისიის დასკვნას. საჭიროა ამ კანონის უფრო საფუძვლიანი ცვლილება, რათა გაფართოვდეს კონტაქტები და ეკონომიკური საქმიანობა და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით მოტანილი სიკეთეები.

საქართველო აგრძელებდა სეპარატისტულ რეგიონებში უფრო მეტი ჩართულობის სტრატეგიის განხორციელებას და გარკვეული, თუნდაც მცირედი, ნაბიჯების გადადგმას იმისათვის, რომ ეს სტრატეგია უფრო ეფექტიანი გახდეს. მიმდინარე მცდელობებმა პოზიტიური შედეგები მოიტანა ჯანდაცვის მომსახურების და, ნაკლები მასშტაბით, განათლების შესაძლებლობათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ევროკავშირი ასევე მიესალმება პოზიტიურ ცვლილებას სეპარატისტული რეგიონების მიმართ რიტორიკასა და ენაში. ეს მცდელობები ფართოდ იქნა აღიარებული. სეპარატისტულ რეგიონებში განხორციელებული პროექტების მეშვეობით ევროკავშირი მხარს უჭერდა ნდობის აღდგენასაც. სხვა დადებით მხარეებთან ერთად, ეს პროექტები განამტკიცებს ადამიანებს შორის კონტაქტებს და ხელს უწყობს გაცვლით პროგრამებს ევროკავშირთან.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს **იძულებით გადაადგილებულ პირებთან** დაკავშირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას, რაშიც მას

მხარს ევროკავშირის ფართო დახმარების პროგრამა უჭერს. ეს პროგრამა მოიცავს ხანგრძლივ ვადაზე გათვლილ მიდგომას იძულებით გადაადგილებული პირების განსახლების მიმართ, საარსებო წყაროს მნიშვნელოვან კომპონენტს და ტექნიკურ დახმარებას ბენეფიციარების საჭიროებებზე და არა სტატუსზე დაყრდნობით. სამინისტროს ხელმძღვანელობის ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებამ ხელი შეუწყო იძულებით გადაადგილებული პირებისთვის პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის იდენტიფიცირებას. პრობლემების ამგვარი გადაწყვეტა ორიენტირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და მიზნად ისახავს მათ რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

3. ეკონომიკური რეფორმა, სოციალური რეფორმა და განვითარება

2014 წელს საქართველოში **მშპ-ის ზრდა** 4.7%-ს[1] მიაღწია, მას შემდეგ, რაც 2013 წელს ეს მაჩვენებელი 3.3%–ს არ აღემატებოდა. მშპ-ის გაზრდა გამოიწვია ფისკალური სტიმულირების პაკეტმა, რომლის საშუალებით მოხდა საოჯახო მეურნეობების მოხმარებისა და ინვესტიციების მხარდაჭერა. ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკამ, ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვან გაუფასურებასთან ერთად, გამოიწვია ინფლაციური წნეხი, რომლის დროსაც მოსალოდნელია, რომ სამომხმარებლო ფასების საშუალო ზრდა 3.1%-ს მიაღწევს (წინა ორი წლის განმავლობაში არსებული დეფლაციის შემდეგ). წლის განმავლობაში სოციალური ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად ბიუჯეტის დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, თუმცა შედარებით დაბალი ნიშნულიდან. ეს დაკავშირებული იყო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის შეზღუდული შესაძლებლობით, რაც 2014 წლის იანვარში „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ ძალაში შესვლამ გამოიწვია. „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ თანახმად გადასახადების გაზრდა (გარდა აქციზის გადასახადისა) მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი.

ქვეყნის გარეთ არსებული სიტუაცია საქართველოს ეკონომიკისთვის ძირითად რისკის ფაქტორად რჩებოდა. შიდა ბაზარზე მოთხოვნის გაზრდამ და რეგიონის ქვეყნებში ექსპორტის კლებამ 2014 წელს გამოიწვია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა 8.5%-მდე, 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც 5.9%-ს შეადგენდა. ამავდროულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პირველი სამი კვარტლის მონაცემებით თითქმის 20%-ით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო რეზერვების ჯამური მოცულობა უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა 2013 წლის ბოლოს და 2014 წლის დასაწყისის მკვეთრი შემცირების შემდეგ, რაც მოჰყვა გაცვლის კურსის დასაბალანსებლად ეროვნული ბანკის მხრიდან აუცილებელ ინტერვენციებს ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე (რაც, თავის მხრივ, დაკავშირებული იყო ფისკალური სტიმულირების პაკეტთან და ამის შედეგად გამოწვეულ იმპორტის ზრდასთან).

[1] წყაროების და უფრო დაწვრილებითი მონაცემების მისაღებად იხილეთ სტატისტიკური დანართები, რომლებიც ანგარიშს თან ახლავს. წყაროების გარეშე მითითებული მაჩვენებლები ევროკომისიის სამსახურების მიერ არის პროგნოზირებული.

უმუშევრობის მაჩვენებელი კვლავაც მაღალი იყო, დაახლოებით 14.1% (2013 წლის მაჩვენებული 14.6%-ს შეადგენდა). წინასწარი შეფასებით, 15-დან 24 წლამდე ახალგაზრდების 30% განათლების, ტრენინგის და დასაქმების გარეშე იყო დარჩენილი. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც დამოკიდებული იყო საზღვარგარეთიდან **გზავნილებზე**, რომელთა საერთო მოცულობამ 2014 წლის განმავლობაში იკლო რუსეთიდან ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი შემცირების შედეგად.

გასული წლის ოქტომბერში წარმოდგენილი 2015 წლის **ბიუჯეტის პროექტის** მიხედვით უმნიშვნელოდ გაიზარდა შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებები. ამ თანხის თითქმის ნახევარი მოხმარდება პენსიებს, რაც 2015 წლის ბიუჯეტის საერთო ხარჯების 17.2%-ს შეადგენს. მოხდა მასწავლებლებისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი დაზღვევის პროგრამების საყოველთაო სადაზღვევო პროგრამაში ინტეგრირება. სექტემბრიდან ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევამ მოქალაქეების 92% მოიცვა, მაშინ, როცა დარჩენილი 386 000 მოქალაქე კერძო ან კორპორატიული დაზღვევით სარგებლობდა. 2014 წლის მაისში შეიქმნა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, თუმცა მას შემდეგ ის არ შეკრებილა, რაც ნიშნავს, რომ ქმედითი სამმხრივი **სოციალური დიალოგი** ეროვნულ დონეზე არ ფუნქციონირებს.

ივნისში მთავრობამ 2015-17 წლების **რეგიონული განვითარების** პროგრამა დაამტკიცა. პროგრამის განხორციელების მიზნით ევროკავშირის მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარება გამოიყო და ევროკავშირის მიერ ამ სფეროს დახმარების ადრინდელი პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილებაც იქნა გათვალისწინებული. სექტემბერში მთავრობამ ცხრა კონკრეტული რეგიონის განვითარების სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგია დაამტკიცა.

4. ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, საბაზრო და მარეგულირებელი სფეროს რეფორმები

28 სახელმწიფოსგან შემდგარი ევროკავშირი საქართველოს პირველ **სავაჭრო პარტნიორად** რჩება. 2014 წელს ვაჭრობის მოცულობამ 2.57 მილიარდს მიაღწია. 2014 წლის ვაჭრობის მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოდან ევროკავშირში იმპორტი ისევე სტაბილურად მიმდინარეობდა, როგორც 2013 წელს, და 657 მილიონი ევრო შეადგინა, თუმცა ევროკავშირის პროდუქციის საქართველოში იმპორტის მოცულობამ უმნიშვნელოდ, მაგრამ იკლო (5.9%-ით) და 1.9 მილიარდი შეადგინა. მას შემდეგ, რაც 2014 წლის 1 სექტემბერს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელება დაიწყო, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი 2014 წლის სექტემბერ-დეკემბერში 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 7%-ით გაიზარდა. ამ ზრდის მიზეზი მეტწილად იყო ნავთობპროდუქტების ექსპორტის წილის 52.3%-ით გაზრდა.

რეფორმირებული ევროკავშირის პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP) 2014 წლის იანვრიდან ამოქმედდა; საქართველოზე გავრცელდა მდგრადი

განვითარებისა და კარგი მმართველობის სტიმულირების საგანგებო მექანიზმი, GSP+.

2014 წლის თებერვალში მთავრობამ მიიღო განკარგულება, რომელიც ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელების კოორდინაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავალებდა. ივლისში მთავრობამ დაამტკიცა 2014–2017 წლებში ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელების მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა. საქართველომ ევროკავშირიდან იმპორტირებულ პროდუქტებზე ყველა საბაჟო მოსაკრებელი გააუქმა. 2015 წლის იანვარში მთავრობამ დაამტკიცა ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლითაც დადგინდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების განრიგი.

სექტემბერში მთავრობამ საბაჟო სამსახურებს დაავალა ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფარგლებში ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო მოსაკრებლის გარეშე შესვლისთვის აუცილებელი სერტიფიკატების გაცემა.

მოხდა ერთ უწყებაში ცენტრალიზაცია იმ პასუხისმგებლობებისა, რომლებიც მანამდე ოთხ სხვადასხვა უწყებაში იყო განაწილებული. ამ გზით საქართველოს სისტემა ევროკავშირის საბაჟო პოლიტიკასა და ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის მოთხოვნების შესაბამისი გახდა. საბაჟო სამსახურებმაც დაასრულეს ახალი **საბაჟო კოდექსის** პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის მოთხოვნებთან. შემოღებული იქნა წინასწარი შეტყობინების სისტემა იმპორტირებულ საქონელზე, რომელიც ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს ექვემდებარება; ასევე ძალაში შევიდა განბაჟების გამარტივებული პროცედურები ჯგუფური გადაზიდვებისთვის.

კონკურენციის შესახებ კანონი ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის კონკურენციის შესახებ კანონმდებლობას. კანონი მიღებული იქნა 2014 წლის მარტში, ხოლო მის შესრულებაზე პასუხისმგებელი დამოუკიდებელი სააგენტო აპრილში შეიქმნა. ოქტომბერში სააგენტოს საზედამხედველო ფუნქციები გადაეცა, თუმცა მწირი დაფინანსების პირობებში სააგენტომ შეიძლება ვერ განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

დასრულდა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის ევროკავშირის დახმარების მისაღებად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები. ეს დახმარება მიზნად ისახავს სააგენტოს ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებლობის გაზრდას და მის მიერ ბაზრის ზედამხედველობის ფუნქციის შესრულებაში ხელშეწყობას. ამჟამად სააგენტო ძირითად ყურადღებას უთმობს თანამშრომლების ტრენინგსა და განვითარებას, ასევე ბაზრის ზედამხედველობის მოთხოვნებსა და პროცედურებს, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ტექნიკური

რეგულაციების შესრულებისთვის აუცილებელ კანონმდებლობას. სექტემბერში საქართველოს აკრედიტაციის ცენტრმა განაცხადი შეიტანა აკრედიტაციის სფეროში თანამშრომლობის მრავალმხრივ ევროპულ შეთანხმებაში გასაწევრიანებლად.

ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საქართველომ ცვლილებები შეიტანა **სურსათის უვნებლობის**, ვეტერინარულ და მცენარეთა დაცვის კოდექსში. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიიღო ევროკავშირის მეორე გრანტი, რომელიც მას დაეხმარა სურსათის უვნებლობის და სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მართვის ეფექტიანი და ევროკავშირის სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისი სისტემის დანერგვაში.

მომსახურების სფეროში მთავრობამ მოამზადა კანონპროექტი საფოსტო მომსახურების შესახებ, რაც ევროკავშირის საფოსტო კანონთა კრებულთან (*acquis*) დაახლოებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

მიღებული იქნა ახალი კანონი **საინვესტიციო ფონდების** შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოსცა განკარგულება ბანკში საინვესტიციო ფონდების რეგისტრაციის წესებისა და მექანიზმების შესახებ. ახალმა კანონმა ახალი მოთხოვნები დაუწესა საინვესტიციო ფონდებს, რაც, სავარაუდოდ, გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.

ივნისში საქართველომ მიიღო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 წლამდე, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა კარგი **ბიზნესგარემოს** აუცილებლობა და ხაზი გაუსვა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდის აუცილებლობას. მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ ქვეყნის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ამ დოკუმენტების მიღება 2015 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელებისთვის ევროკავშირიდან 51 მილიონი ევროს დაფინანსების მისაღებად ორივე სტრატეგიული დოკუმენტი უნდა იყოს მიღებული. მცირე და საშუალო საწარმოების ევროკავშირის ნორმებთან ადაპტირების, მეწარმეობის მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების მიზნით ორი სააგენტო – მეწარმეობის განვითარების სააგენტო და ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო – შეიქმნა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების და ინდუსტრიული წარმოების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“ შეღავათიანი სესხებით, ინფრასტრუქტურითა და საკონსულტაციო დახმარების საშუალებით.

ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ოქტომბერში მთავრობამ შექმნა **სასოფლო-სამეურნეო** კოოპერატივების განვითარების სააგენტო და ჩაატარა საინფორმაციო კამპანია ბაზარზე ორიენტირებული მცირე ფერმერული კოოპერატივებისთვის. გამოქვეყნდა 2014–2020 წლების სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგია, თუმცა მთავრობას ის ჯერ არ დაუმტკიცებია.

სახელმწიფო საგადასახადო სამსახურმა – ევროკავშირის „ტვინინგის“ (დამმობილების) პროექტის დახმარებით – ჩაატარა საქართველოს **საგადასახადო** კანონმდებლობის შეფასება.

სტატისტიკის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით საქართველომ არსებული კანონმდებლობის განახლება დაიწყო. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შემოიღო სტატისტიკის გავრცელების თანამედროვე მეთოდები. ნოემბერში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სამომავლო დაგეგმვას დაეხმარება.

ნოემბერში დაიწყო ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტი, რომლის მიზანი იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად **აუდიტის სახელმწიფო სამსახურის** ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა.

შეიქმნა **შესყიდვების** ტრენინგცენტრი და დაიწყო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაზე ტრენინგების ჩატარება.

5. მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა

2014 წელს მიღებული იქნა საზღვრის მართვის სახელმწიფო სტრატეგია 2014–18 წლებისათვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. შემოღებული იქნა საზღვარზე მიგრაციის ადმინისტრირებისა და ანგარიშგების სისტემა. ივნისში შეიქმნა საზღვაო ოპერაციების მართვის ერთიანი ცენტრი. ფრონტექსთან[2] ერთად საქართველომ ოთხ ერთობლივ ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა.

გრძელდებოდა ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროგრამის **პარტნიორობა მობილურობისთვის** განხორციელება. საქართველომ და გერმანიამ შეიმუშავეს პირობებზე მორგებული ,,წრიული“ მიგრაციის სქემა: ოცდაათი ქართველი (საიდანაც 75% ქალია) შეირჩა გერმანიაში სამუშაოდ, ხოლო გერმანიაში მცხოვრები ქართული დიასპორის 23 წარმომადგენელი საქართველოს შესაბამის კერძო და სახელმწიფო სამსახურებში დასაქმდა.

ივნისში მიღებული იქნა და ძალაში შევიდა **მიგრაციის, მათ შორის ვიზისა და თავშესაფრის სფეროში** ახალი ორგანული კანონი მოქალაქეობის შესახებ; მთავრობამ ასევე მიიღო ახალი კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც სექტემბერში შევიდა ძალაში. საქართველოში მყოფი **თავშესაფრის მაძიებლებისა** და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის დაწესდა დროებითი პირადობის დამადასტურებელი ბარათები და შემოღებული იქნა მათი გაცემის წესები. სექტემბერში შინაგან საქმეთა სამინისტროში ამოქმედდა მიგრაციის ახალი დეპარტამენტი. სექტემბერში შემოღებული იქნა „ქვეყანაში უნებართვოდ დარჩენილთა შეტყობინების სისტემა“ და გაიხსნა

[2] ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარე საზღვრებზე ოპერირების სფეროში თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტო, ფრონტექსი (European Agency for the Management of Operational Cooperation at the External Borders of the Member States of the European Union (Frontex)

არალეგალურ მიგრანტთა განსახლების დროებითი ცენტრი. მთავრობამ შეიმუშავა „არალეგალურ უცხოელთა გაძევების“ პროცედურა. მიგრაციის მართვის სააგენტოების ანალიტიკური შესაძლებლობის გაძლიერებისა და საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციისთვის საქართველომ ჯერ კიდევ უნდა დანერგოს „მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემა“. მისი შემუშავების დასაჩქარებლად თებერვალში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. მოსალოდნელია, რომ სისტემა სრულად 2016 წლის შუა რიცხვებიდან ამუშავდება.

რაც შეეხება **ვიზების ლიბერალიზების სამოქმედო გეგმას,** საქართველომ წარმატებით დაასრულა საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოსთან დაკავშირებული პირველი ფაზის მოთხოვნები. მეორე ფაზა, რომლის ეფექტიან განხორციელებას ევროკომისია გულდასმით განიხილავს, ოქტომბერში დაიწყო. **ვიზების გამარტივებისა და რეადმისიის** შესახებ შეთანხმებების განხორციელება დამაკმაყოფილებელი იყო და ზოგადად, შედეგის თვალსაზრისით, დადებითია.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელება გრძელდებოდა. საქართველომ დადო ხელშეკრულებები რუმინეთთან და სომხეთთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის და ურთიერთდაცვის შესახებ; ხელი მოეწერა შეთანხმებას გერმანიასთან ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან და სისხლის სამართლის სხვა სერიოზულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თანამშრომლობის შესახებ.

საქართველოში ნარკოტიკების შემოდინებამ და „ტრადიციული“ ნარკოტიკების მოხმარებამ იკლო. თუმცა აღინიშნება კოდეინის შემცველი პრეპარატების იმპორტის მკვეთრი ზრდა. 2014–2015 წლებში ნარკოტიკების ეროვნული სტრატეგიის და სამუშაო გეგმის მიღების შემდეგ მთავრობა განაგრძობდა ნარკოტიკების პრევენციის სფეროში კანონმდებლობისა და პოლიტიკის დახვეწას. 2014 წლის მარტში ძალაში შევიდა ახალი წესები ლეგალური ფარმაცევტული პროდუქტების ბოროტად გამოყენების და მათგან სახლის პირობებში სტიმულატორების დამზადების წინააღმდეგ. კანონი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ, რომელიც აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას რამდენიმე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ფლობისა და გამოყენებისთვის, ძალაში შევიდა 2014 წლის მაისში. მუდმივმოქმედი კომისია ამ სფეროს მონიტორინგისთვის მაისში შეიქმნა. პროფესიული კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო ორი პროგრამის განხორციელება, რომლებშიც ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილება იყო გამოყენებული.

საქართველომ **მონაცემთა დაცვის** სფეროში არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ევროპულ სტანდარტებს კიდევ უფრო დაუახლოვა. აგვისტოში პარლამენტმა მიიღო რამდენიმე ცვლილება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონსა და რამდენიმე სხვა კანონში, რითაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მანდატი განივრცო და მოიცვა მონაცემთა დამუშავება პოლიციის სფეროში, ხოლო ნოემბრიდან – კერძო კომპანიებზე ზედამხედველობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ. ნოემბერში მიღებული იქნა ფარული მიყურადებისა და უშიშროების სამსახურების მიერ სატელეკომუნიკაციო

სერვისის მიმწოდებლებზე წვდომის ახალი წესები. სატელეკომუნიკაციო მონაცემებთან პირდაპირი წვდომა შეუძლია შინაგან საქმეთა სამინისტროს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის თანხმობით, რომელიც ტექნიკურად გასცემს ამ მონაცემებს. საქართველოს სახალხო დამცველმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს მიყურადების შესახებ კანონმდებლობის ამ დებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეინარჩუნოს პირდაპირი წვდომა ტელესაკომუნიკაციო ოპერატორების ქსელებზე და ამ გზით დაარღვიოს მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული პირადი ცხოვრების უფლება. სახალხო დამცველმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში. აუცილებელია, რომ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ განიხილოს და შეაფასოს მიყურადების შესახებ ახალი კანონი.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა დებულებები საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობისა და ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. 2014 წლის თებერვალში მთავრობამ მიიღო ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიოლოგიურ და ბირთვულ საფრთხეებთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია; შეიქმნა ამ საფრთხეებთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო.

6. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება, საინფორმაციო საზოგადოება, კვლევა, განვითარება და ინოვაციები

ტრანსპორტის სფეროში უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველო EUROCONTROL-ის მეორმოცე წევრი გახდა. 2014 წლის თებერვალში დაიწყო მოლაპარაკებები **ენერგეტიკული თანამეგობრობის ქარტიაში** საქართველოს გაწევრიანების მიზნით, თუმცა პროცესი 2014 წელს ვერ დასრულდა, ხოლო ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის განხორციელების სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტულად არ იქნა მიჩნეული შესაბამისი აქტივობები. მიუხედავად ამისა, წლის ბოლოს გამართულ მაღალი რანგის პირთა შეხვედრებზე საქართველომ დაადასტურა, რომ ის მზად არის, განაგრძოს მოლაპარაკებები 2015 წელს. არ გადადგმულა კონკრეტული ნაბიჯები ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის შესახებ კანონმდებლობის მიღების მიმართულებით. სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში დამტკიცდა სომხეთის ელექტროგადამცემ ხაზებთან დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობის ახალი პროექტი. ამოქმედდა ელექტროგადამცემი ხაზი საქართველოსა და თურქეთს შორის და ელექტროენერგიის პირველი ექსპორტი 2014 წლის ივლისში განხორციელდა. თუმცა შიდა მოხმარების გაზრდისას ექსპორტი მომდევნო თვესვე შეჩერდა.

კლიმატის ცვლილების პრევენციისა თუ შემსუბუქების სფეროში საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი პოლიტიკა. ევროკავშირის ექსპერტები ამ სფეროს რეგიონული Clima East პროექტის საშუალებით ეხმარებიან, კერძოდ, მუშაობენ პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების უნარების გაუმჯობესებაზე და კლიმატის ცვლილების შემსუბუქების პოლიტიკაზე. გარემოს

დაცვის პოლიტიკის სფეროში უმნიშვნელო წინსვლა აღინიშნა. ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონზე მუშაობა დასრულდა, ხოლო ჩარჩო კანონი ნარჩენების მართვის შესახებ პარლამენტმა 2015 წლის იანვარში მიიღო. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ტვინინგის“ (დამმობილების) პროექტი, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებაში დაეხმარა, 2014 წლის ივნისში დასრულდა. პროექტს დიდი წვლილი მიუძღვის ნარჩენების მართვის ახალი კოდექსის შემუშავებაში. ევროკავშირის საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში მოხდა დახმარების გაწევა წყლის სექტორის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისთვის.

რაც შეეხება **საინფორმაციო საზოგადოებისა და აუდიოვიზუალურ პოლიტიკას,** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება, არსებული ადგილობრივი ანალოგური მაუწყებლებისთვის ლიცენზიები მიენიჭებინა უფასოდ. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წლის ივნისშია დაგეგმილი. 2014 წლის ივნისში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სიხშირული სპექტრის გამოყენებით ციფრული სატელევიზიო ქსელის (მულტიპლექსის) მშენებლობისათვის სამი ლიცენზია გასცა. კომუნიკაციების კომისია გეგმავდა ლიცენზიების გაცემის სისტემის რეფორმირებას ევროკავშირის რეგულაციების შესაბამისად, ასევე ევროკავშირის მიერ რეკომენდებული მიდგომის დანერგვას, რომელიც გულისხმობდა სიხშირული სპექტრით სარგებლობის სარეზერვო ფასის გაანგარიშებასა და ლიცენზიის საფასურის განსაზღვრას. ელექტრონული მმართველობის ფართომასშტაბიანი სტრატეგიის შემუშავებისას მონაცემთა გაცვლის სააგენტომ თავის ვებგვერდზე საჯარო კომენტარებისთვის გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი „ციფრული საქართველო“.

დაიწყო „სამეცნიერო სკრინინგი“ ყველაზე უფრო პერსპექტიული „კვლევითი კლასტერების“ დასადგენად. 2014 წლის თებერვალში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დააფუძნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანი იყო **ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების** წახალისებაზე მიმართული ძალისხმევის კოორდინირება. ოქტომბერში საქართველომ ოფიციალური წერილით ითხოვა ევროკავშირის პროგრამაში Horizon 2020 გაწევრიანება. მოლაპარაკებები 2015 წელს უნდა დაიწყოს.

7. ადამიანებს შორის კონტაქტები, განათლება და ჯანდაცვა

განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ახალი, ერთიანი და სრულფასოვანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო განათლების სფეროს სრული შეფასება. ეროვნული **პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სტრატეგიის ფარგლებში** გაგრძელდა 2014–20 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება. ასევე გრძელდებოდა მოდულების გამოყენებით პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ახალი პროგრამების შემუშავება და კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შეფასება. ჯერ არ დამტკიცებულა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ეროვნული საბჭო. განათლებისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა **ახალგაზრდობის** სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

საქართველომ მონაწილეობა მიიღო **ტემპუსის** პროგრამაში. ტემპუსის 35 მიმდინარე პროექტიდან 5 პროექტს კოორდინაციას უწევს უმაღლესი განათლების ქართული დაწესებულება. 2014 წელს 491-მა სტუდენტმა და თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა „ერაზმუს მუნდუსის“ შექმნილ მობილურობის საპარტნიორო ინიციატივებში, ხოლო ორი სტუდენტი ერთობლივ სამაგისტრო ხარისხზე სამუშაოდ შეირჩა. **მარი კიურის** პროგრამით 19-მა მკვლევარმა და 132-მა თანამშრომელმა ისარგებლა. ორი განაცხადი შეირჩა დაფინანსებისთვის მარი სკლოდოვსკა-კიურის პროგრამისთვის პროგრამა 'Horizon 2020'-ის ფარგლებში.

საქართველომ მონაწილეობა მიიღო ასევე eTwinning პლიუსის (ელექტრონული დაძმობილების) პროგრამაში 68 სკოლასთან ერთად. **ახალგაზრდებმა** და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა ისარგებლეს პროგრამით **Erasmus+**, რომლის მობილურობის პროექტებში 2 111-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. 145-მა ახალგაზრდა იყო ჩართული ახალგაზრდობის სფეროში გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად გამართულ ერთობლივ აქტივობებში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის **კულტურის** პროგრამის ფარგლებში საქართველო 12 რეგიონულ პროექტში მონაწილეობდა, წამყვანის თუ პარტნიორის რანგში. ეს პროგრამა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსაც დაეხმარა კულტურის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისკენ მიმართულ ძალისხმევაში. სამინისტრომ ევროკავშირის პროგრამა “შემოქმედებით ევროპაში“ საქართველოს მონაწილეობისადმი ინტერესი გამოხატა. 2014 წლის ნოემბერში, ბათუმში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის 250–ზე მეტმა წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მეექვსე წლიურ შეკრებაში.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ოფიციალურმა პირებმა და ექსპერტებმა გამართეს დისკუსია თემაზე: ,,ვიზრუნოთ ევროკავშირთან ინტეგრაციასა და საერთო უსაფრთხოების განხორციელებაზე.“

ჯანდაცვის ახალი 2014 –20 წლების სტრატეგიის სამუშაო კონცეფციაზე მუშაობა დასრულდა, მაგრამ 2014 წელს ის არ იქნა მიღებული. 82 ახალი კლინიკის გახსნის შედეგად რეგიონებში განმტკიცდა პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა. პირველადი ჯანდაცვის უფასო მომსახურება – სოფლის ექიმთან ვიზიტისა და ძირითადი მედიკამენტების ჩათვლით – ფარავს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. სოფლად სამედიცინო პერსონალის ხელფასი გაიზარდა, ექიმის – 600 ლარამდე, ხოლო ექთნის – 450 ლარამდე (დაახლოებით 270 და 210 ექვივალენტი ევროში). პარლამენტში შეტანილი იქნა შესწორებების პროექტი თამბაქოს კონტროლის, რეკლამის და მაუწყებლობის შესახებ კანონებში, ასევე საგადასახადო და ადმინისტრაციულ კოდექსებში, თუმცა ჯერ არ ყოფილა მიღებული. მოხდა აივ/შიდსის და ტუბერკულოზის მთავარი საკოორდინაციო უწყების რეორგანიზაცია და დამტკიცდა მისი სამუშაო გეგმა. საქართველო განაგრძობდა ტექნიკურ თანამშრომლობას დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპულ ცენტრთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრთან თანამშრომლობის მოსამზადებელ ღონისძიებებში დახმარებას. საქართველომ

დაასახელა საკონტაქტო პირი, რომელიც თანამშრომლობს დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპულ ცენტრთან. 2014 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო საკონტაქტო პირთა შეხვედრაზე და ასევე დაესწრო წყლით და საკვებით გადამდები დაავადებების შესახებ ტექნიკურ შეხვედრებს, ასევე სემინარებს იმ დაავადებების შესახებ, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციითაა შესაძლებელი. საქართველოს საკონტაქტო პირმა მონაწილეობა მიიღო ასევე ყოველწლიურ ევროპულ სამეცნიერო კონფერენციაში გამოყენებით ინტერვენციულ ეპიდემიოლოგიაში